საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №625

ქ. თბილისი "10" 09 2008 წ.

უცხოური საწარმოს ფილიალი (წარმომადგენლობა) „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)"-ზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დანართი №1-ის შესაბამისად დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 35, 05.09.08 რუსთავის მახლობლად არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობა.
2. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 12-ე კილომეტრი№6) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი

ირაკლი ღვალაძე
მინისტრი

კანცელარია

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას
გარემოს დაცვის ინსპექციას